

ვებგვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

**შეიცვალოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.10.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„7.10.3. კლიენტისათვის სხვადასხვა მომსახურების / პროდუქტების (მათ შორის სადაზღვევო, საშემფასებლო, აზომვითი პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და გაწვევისათვის აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემები), გადასცეს სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ (ს/კ 205023856), სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს“ (ს/კ 204426674) და/ან TBC Bank Group PLC (#10029943) ჯგუფის წევრ კომპანიებს, მათ შორის სს „თიბისი დაზღვევას“ (ს/კ 405042804), შპს „ოლ ფროფერტი ჯის“ (ს/კ 404449272), შპს „რედმედს“ (ს/კ 405341465) ან/და შპს „თიბისი კაპიტალს“ (ს/კ 204929961), რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.“

**ხელშეკრულების მე-18 მუხლს დაემატოს 18.34 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„18.34. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ შესაბამისი საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის მიერ ფულადი სახსრების განთავსება უნდა განხორციელდეს საკრედიტო ლიმიტის ანგარიშზე, რაც არ გამორიცხავს / აუქმებს ბანკის უფლებამოსილებას, მის წინაშე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულების შესრულების მიზნით, კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე (უაქცეპტო წესით), თანხა(ები) ჩამოწეროს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან.“

**შეიცვალოს ხელშეკრულების 24-ე მუხლის 24.1.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„24.1.1. დისტანციურ საბანკო მომსახურება - Mail Banking-ი - გულისხმობს, ბანკის მიერ დადგენილი კრიტერიუმების, მოთხოვნების, წესებისა და წინაპირობების კლიენტის მიერ სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით ბანკისთვის გაგზავნილი/წარდგენილი დავალების შესაბამისად საბანკო ოპერაციების შესრულებას / სხვადასხვა საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღების სურვილის დაფიქსირებას (ბანკისთვის განაცხადის წარდგენას) და ბანკის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის მიღებას (დადასტურებას), ისევე როგორც, ბანკის მიერ შეთავაზებული საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტების მიღებას (დადასტურებას).“

**შეიცვალოს ხელშეკრულების 24-ე მუხლის 24.1.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„24.1.3. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.“

**შეიჯავლოს ხელშეკრულების 24-ე მუხლის 24.1.4 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„24.1.4. ბანკი პასუხს არ აგებს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.“

**შეიჯავლოს ხელშეკრულების 24-ე მუხლის 24.1.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„24.1.5 ელექტრონული ფოსტის საშუალებით (შემდგომში „დისტანციური საშუალება“) ბანკისთვის გაგზავნილ ნებისმიერ შეტყობინებას / დასტურს / დავალებას / მოთხოვნას / განაცხადს, ნებისმიერი გარიგების (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გარიგების) დადასტურებას/გაფორმებას და/ან ხელმოწერილი გარიგების დისტანციური საშუალებებით გაგზავნას აქვს კლიენტის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული) ქალაქდზე დაბეჭდილი და ხელმოწერილი დოკუმენტის ტოლფასი იურიდიული ძალა.“

**ხელშეკრულების 24-ე მუხლს დაემატოს 24.1.7, 24.1.8, 24.1.9 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„24.1.7 კლიენტი აცხადებს თანხმობას, რომ დისტანციური საშუალებით დაფიქსირებული მისი ნებისმიერი მოთხოვნა (დავალება) საბანკო ინფორმაციის მიღების, სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში (მათ შორის საკონტაქტო მონაცემებში) ცვლილებების შეტანის ან ოპერაციის განხორციელების შესახებ, ისევე როგორც, დისტანციური საშუალებით გაფორმებული ნებისმიერი გარიგება და/ან გარიგების გაფორმების მიზნებისთვის განხორციელებული ნებისმიერი სახის კომუნიკაცია/ქმედება, დაფიქსირდეს ბანკის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში და დავის შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს ჰქონდეს მტკიცებულებითი ძალა (გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად). მხარეთა შეთანხმებით ასეთი ჩანაწერები/ინფორმაცია, მიიჩნევა ბანკის საკუთრებად.“

24.1.8 დისტანციური საშუალებით კლიენტს შეუძლია განხორციელოს სხვადასხვა საბანკო ოპერაცია ან/და ქმედება (მათ შორის საკრედიტო პროდუქტის მიღება (დადასტურება), საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადება) ამ ხელშეკრულებაში მოცემული და ოპერაციის/ქმედების განხორციელების დროისთვის, ბანკის მიერ დადგენილი წესების, მოთხოვნებისა და პირობების შესაბამისად.

24.1.9 დისტანციური საშუალებით საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მისაღებად (დასადასტურებლად) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დასადასტურებლად (გასაფორმებლად), ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, დააწესოს რიგი მოთხოვნები / წესები, მათ შორის კლიენტის იდენტიფიკაციის მიზნით, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში, კლიენტი ვერ მოახდენს საბანკო (მათ შორის საკრედიტო) პროდუქტის მიღებას (დადასტურებას) / საბანკო (მათ შორის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) გარიგებ(ებ)ის დადებას.“